## საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

**ბრძანება №01-02/**134

24 აგვისტო, 2021 წელი ქ. ბათუმი

**,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 20 აგვისტოს N01-02/132 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის", „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების საფუძველზე,

*ვბრძანებ:*

1. ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 20 აგვისტოს N01-02/132 ბრძანება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი მისი გამოცემის დღიდანვე.

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

*რექტორი, ასოცირებული პროფესორი* *მერაბ ხალვაში*